


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
სამშენებლო სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი

ბ. შ. პ. დოც. რ. ი. გივინაშვილი

ლითონის კოორდინატი უჯრედის გაანგარიშება და  
დაკრომეტირება



დავსრულდა ს. ს. გვინაშვილი


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამშენებლო სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი

ტ. მ. კ. დოც. რ. ი. გივინაშვილი

ლითონის კოვრვანი უჯრადის გაანგარიშება და  
დაკრომება

დახმარა სახელმძღვანელო



შავი ხაზით უნდა აღინიშნოს

*Handwritten signatures and notes in blue ink:*  
ს. მ. კ. დოც. რ. ი. გივინაშვილი  
26.04.05

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია სამშენებლო ფაქულტეტის სსმ სპეციალობის სტუდენტებისათვის, სპაროექტო ორგანიზაციებისათვის და მოიცავს ლითონის კოჭოვანი უჯრედის (სართულშუა გადახურვის) გაანგარიშებისა და დაპროექტების, როგორც თეორიულ ნაწილს, ასევე გაანგარიშების მაგალითს.

სამეცნიერო რედაქტორი: ლითონის კონსტრუქციების კათედრის გამგე, ტ. მ. კ., დოც. ი. დ. მშვენიერაძე

რეცენზენტები: სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის გამგე, ტ. მ. კ., დოც. ე. ვ. მექმარიაშვილი, ტ. მ. დ., პრ. დ. ი. კ. მელაშვილი


დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სამშენებლო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მეტოღური საბჭოს მიერ, სსმ სპეციალობის სტუდენტებისათვის.

## შესავალი

სამრეწველო შენობების სართულშუა გადახურვებში სასარგებლო თანაბრადგანაწილებული დატვირთვის ინტენსივობა აღწევს 4 ტნ/მ<sup>2</sup> და მეტსაც. ამ შემთხვევაში გადახურვის კონსტრუქციებში მიზანშეწონილია ფოლადის მზიდი კოჭების სისტემის გამოყენება, რომელსაც კოჭოვანი უჯრედი ეწოდება.

სამი ძირითადი ტიპის კოჭოვან უჯრედს განასხვავებენ: გამარტივებულს, ნორმალურს და გართულებულს.


გამარტივებულ კოჭოვან უჯრედს გააჩნია ერთი მიმართულების მზიდი ფენილის კოჭები, რომლებსაც გადაეცემა ფენილზე მოსული დატვირთვები (ნახ. 1). ფენილის კოჭები განლაგებული არიან გადახურვის



ნახ. 1. გამარტივებული ტიპის კოჭოვანი უჯრედი

მცირე გვერდის პარალელურად  $a$ —მანძილზე, რომელსაც კოჭების ბიჯი ეწოდება. ფენილის მზიდუნარიანობის შეზღუდულობის გამო საჭირო ხდება ფენილის კოჭების ხშირი დაყენება  $a=0,6 \div 1,6$  მ ფოლადის და  $a=2 \div 3,5$  მ მანძილებზე რკინა-ბეტონის ფენილისას), რაც მიზანშეწონილია მათი მცირე სიდიდის მალეებისათვის და არაეკონომიურია შედარებით დიდი მალეებისათვის, კოჭის მზიდუნარიანობისა და საჭირო სიხისტის შეუსაბამობის მიზეზით.


ამ ხარვეზს ავსებს ნორმალური ტიპის კოჭოვანი უჯრედი, რომელშიც დატვირთვა ფენილიდან უშუალოდ გადაეცემა ფენილის კოჭებს, ხოლო მათი საშუალებით მთავარ კოჭებს, დაყრდნობილს სვეტებზე ან ნაგებობის შემომფარგლავ სხვა მზიდ კონსტრუქციებზე (ნახ. 2).



ნახ. 2. ნორმალური ტიპის კოჭოვანი უჯრედი.

გართულებული ტიპის კოჭოვანი უჯრედი მოიცავს მთავარ, ფენილის და დამხმარე კოჭებს. დატვირთვა ფენილიდან გადაეცემა ფენილის კოჭებს, მათგან დამხმარეს, ამ უკანასკნელიდან მთავარს და ბოლოს სვეტებს (ნახ. 3).

როგორც წესი, ფენილის და დამხმარე კოჭები პროექტდება გაღლინული პროფილებისაგან, ხოლო მთავარი—ძირითადად შედუღებული შედგენილი ორტესებრი განივკვეთისა.




ნახ. 3. გართულებული ტიპის კოჭოვანი უჯრედი.

კოჭოვანი უჯრედის ტიპის ამორჩევა სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია კოჭების ურთიერშეუღლებაზე სიმაღლის მიხედვით.


არსებობს სხვადასხვა სისტემის კოჭების სამი სახის შეუღლება: სართულბრივი, ერთ დონეზე და დადაბლებული.

სართულბრივი შეუღლებისას ფენილის კოჭები უშუალოდ თავსდება დამხმარე ან მთავარ კოჭებზე, რაც ფრიად ამარტივებს კონსტრუქციულ კვანძებს და სამონტაჟო სამუშაოებს. ამასთან იზრდება გადახურვის სამშენებლო სიმაღლე და შესაბამისად შემომფარგლავი და სხვა კონსტრუქციების მოცულობები; ეს კი არაეკონომიურია (ნახ. 4).

ერთ დონეზე შეუღლებისას მთავარი და ფენილის კოჭების ზედა თაროები განლაგებულია ერთიდაიგივე ნიშნულზე და ფენილი უშუალოდ მათზეა მოთავსებული. მთავარი კოჭის სიმაღლე მაქსიმალურია გადახურვის მოცემული სამშენებლო სიმაღლისას, რაც საბოლოოდ გამოხატულია გადახურვისა და მთლიანად შენობის ეკონომიურობაში, მიუხედავად კოჭების შეუღლებისა და დაყრდნობის კონსტრუქციების სირთულისა (ნახ. 5).




ნახ. 4. კოჭების სართულბრივი შეუღლება.



ნახ. 5. კოჭების ერთ ღონზე შეუღლება.

გართულებულ კოჭოვან უჯრედში გამოიყენება კოჭების დადაბლებული შეუღლება, რომელშიც მთავარი და ფენილის კოჭების ზედა თაროები ერთ სიბრტყეში არიან განლაგებული, ხოლო დამხმარე კოჭის ზედა თაროს სიბრტყე დადაბლებულია. შეუღლების ეს სახეც ეკონომიურია, მაგრამ ურთულესია სამივე სახეს შორის (ნახ. 5).



ნახ. 5 კოჭების დადაბლებული შეუღლება.

სამრეწველო შენობაში დანადგარებისა და მოწყობილობების განლაგებისა და მათი ხელსაყრელი ექსპლუატაციის პირობებიდან გამომდინარე, საპროექტო დავალებით მოცემულია კოჭოვანი უჯრედის შემდეგი ზომები: სიგრძე და სიგანე, სვეტებს შორის მანძილები, ფენილის ზედა ნიშნული და სათავსოს სიმაღლე (მათ შორის სხვაობა გადახურვის შესაძლო სამშენებლო სიმაღლეა).

კონსტრუქტორის მოვალეობაა მოცემული შენობისათვის უმარტივესი ტიპის კოჭოვანი უჯრედის გამოყენება, დატვირთვის საყრდენებზე გადაცემის უმოკლესი გზით.

ამრიგად კოჭოვანი უჯრედისა და კოჭების შეუღლების რაციონალური ტიპისა და სახის შერჩევა თითოეული შენობისათვის კონკრეტული ამოცანაა, რომელიც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და როგორც წესი დგინდება შესაძლო კონსტრუქციულ გადაწყვეტათა ვარიანტების შედარების საფუძველზე.

§ 1. კოჭოვანი უჯრედის გაღის დაავალვა.

შესავალში განხილულია კოჭოვანი უჯრედისა და კოჭების სისტემების შეუღლებათა ტიპები და სახეები.

კოჭოვანი უჯრედის ტიპების ტექნიკურ-ეკონომიური ანალიზისათვის განიხილება ორი: ნორმალური (ლითონის და რკინაბეტონის ფენილით) და ერთი გართულებული ვარიანტი. დგინდება კოჭოვანი უჯრედის ეკონომიური ვარიანტი, ცალკეული ელემენტების საანგარიშო სქემების განსაზღვრის მიზნით.

§ 2. საანგარიშო ნაწილი

2. ა. ფენილის შერჩევა

კოჭოვანი უჯრედის ფენილი შედგება დამცავი და მზიდი ნაწილებისაგან. დამცავი ნაწილი შეიძლება იგანხორციელდეს ხის, აგურის, ასფალტის და სხვა მასალებისაგან, რაც დამოკიდებულია შენობაში მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესზე. მზიდი ფენილი ხორციელდება ლითონის ფურცლების ან რკინაბეტონის ფილებისაგან.

გამოიყენება აგრეთვე ლითონის სპეციალური კონსტრუქციის ფენილი—საფარი (ზომებით 3X12 მ-მდე), რომელშიაც ფოლადის მზიდი ფურცელი ქვევიდან გამაგრებულია გრძივი და განივი წიბოებით, ხოლო ზემოდან მზიდ ფურცელზე მოწყობილია დამცავი ფენა.

კოჭოვანი უჯრედის ფენილი იანგარიშება ღუნვაზე.

2 ბ. გაგლინული კოჭის გაანგარიშება (ფენილის და დამხმარე კოჭები)

ძირითადად ასეთი კოჭებისათვის გამოიყენება გაგლინული ორტესებრი განივკვეთი.

დგინდება კოჭის საანგარიშო სქემა; განიხილება ორ საყრდენზე მდებარე სახსრულად დაყრდნობილი ან საყრდენებზე ნაწილობრივ ჩამაგრებული კოჭი. კოჭის ბოლოების ჩამაგრების ხარისხი დამოკიდებულია სხვადასხვა სისტემის კოჭების ურთიერთშეუღლებების სახეზე. ქვემოთ მოცემული ფორმულები შეესაბამება ორ საყრდენზე თავისუფლად დაყრდნობილ კოჭს, რომელზედაც მოქმედებს თანაბრადგანაწილებული დატვირთვა.

გადახურვის 1 მ<sup>2</sup>-ზე მოსული მუდმივი ნორმატიული— $G^5$  და საანგარიშო— $G$  დატვირთვათა ინტენსივობები განისაზღვრებიან ქვე-

მოთ მოყვანილ ცხრილში, რომელშიც მოცემულია სამრეწველო შენობის კოჭოვანი უჯრედის ერთ-ერთი ტიპიური ფენილი.

ცხრილი 1. გადახურვის 1 მ<sup>2</sup>-ზე მოსული დატვირთვები

№ დატვირთვის სახე	ნორმატიული დატვირთვა კნ/მ <sup>2</sup>	გადატვირვ. კოეფიციენტი	საანგარიშო დატვირთვა კნ/მ <sup>2</sup>
1. ასფალტის ფენა $t_{ასფ} = a_{გ}; \gamma_{ასფ} = 1,8 კნ/გმ$	$a \cdot \gamma_{ასფ}$	1,2	$1,2 \cdot a \cdot \gamma_{ასფ}$
2. რკინაბეტონის ფილა $t_{ფ} = b_{გ}; \gamma_{რკ.ბ} = 25 კნ/გმ$	$b \cdot \gamma_{რკ.ბ}$	1,1	$1,1 \cdot b \cdot \gamma_{რკ.ბ}$
3. დამხმარე კოჭის საკუთარი წონა $G_{დამ} = 1,5 A, B კნ/გ$	$G_{დამ}/b_{ფ.ა}$	0,05	$1,05 \cdot G_{დამ}/b_{ფ.ა}$
ს უ ლ	$G^5$	ს უ ლ	$G^6$

$$G^5 = a \cdot \gamma_{ასფ} + b \cdot \gamma_{რკ.ბ} + G_{დამ}/b_{ფ.ა}$$

$$G^6 = 1,2 \cdot \gamma_{ასფ} + 1,1 \cdot b \cdot \gamma_{რკ.ბ} + 1,05 \cdot G_{დამ}/b_{ფ.ა}$$

განისაზღვრება კოჭის 1 გრძივ მეტრზე მოსული თანაბრადგანაწილებული ნორმატიული დატვირთვის ინტენსივობა.

$$q^5 = (G^5 + P_{წ}^5) \cdot b_{ფ.ა} \quad (1)$$

სადაც  $P_{წ}^5$  არის დროებითი სასარგებლო ნორმატიული დატვირთვის ინტენსივობა, კნ/მ<sup>2</sup>-ზე (აიღება ნორმებიდან შენობის დანიშნულების მიხედვით);

$b_{ფ.ა}$  — კოჭების ბიჯი (კოჭებს შორის მანძილი).

კოჭის 1 გრძივ მეტრზე მოსული თანაბრადგანაწილებული საანგარიშო დატვირთვის ინტენსივობა

$$q^6 = (G^6 + P_{წ}^6 \cdot \gamma_{წ}) \cdot b_{ფ.ა} \quad (2)$$

სადაც  $\gamma_{წ}$  — გადატვირთვის კოეფიციენტი სასარგებლო დროებითი დატვირთვისათვის.

ა. მღუნავი მომენტისა და განივი ძალის საანგარიშო მნიშვნელობები გამოითვლება ფორმულებით

$$M_{აქ} = q^s \cdot L_{გ.ა}^2 / 3 \quad (3)$$

$$Q_{აქ} = q^s \cdot L_{გ.ა} / 2 \quad (4)$$

კოჭის საჭირო წინაღობის მომენტი პლასტიკური დეფორმაციების ვათეალისწინებით, ერთ-ერთ მთავარ სიბრტყეში ღუნვისას, გამოითვლება ფორმულით.

$$W_{6,მ.6}^{1,0} = M_{აქ} / C_1 \cdot R_y \cdot \gamma_c \quad (5)$$

სადაც  $C_1$  — კოეფიციენტი ითვალისწინებს პლასტიკური დეფორმაციების განვითარებას კოჭის განივკვეთში,  $C_1 \approx 1,1$ ;

$R_y$  — ფოლადის საანგარიშო წინაღობა დენადობის ზღვრის მიხედვით;

$\gamma_c$  — მუშაობის პირობების კოეფიციენტი, მთლიანკედლიანი კოჭებისათვის  $\gamma_c = 1,0$  (დან. № 13 [1]);

$W_{6,მ.6}^{1,0}$  -ს მიხედვით სორტამენტიდან ირჩევა შესაბამისი ორტესებრი განივკვეთი და მოწმდება ძაბვები ფორმულებით (როცა მხე-ბი ძაბვები  $\tau \leq 0,9 R_s$ , გარდა საყრდენებზე კოჭის კვეთებისა)

$$\sigma = M_{აქ} / W_6 \cdot C_1 \leq R_y \cdot \gamma_c \quad (6)$$

$$\tau = Q_{აქ} \cdot S / J \cdot t \quad (6^a)$$

სადაც  $W_6$  არის განივკვეთის ნეტო წინაღობის მომენტი მატერიალური ღერძის მიმართ.

$$C_1 = C; \text{ როცა } \tau \leq 0,5 R_s \quad (7)$$

$$C_1 = 1,05 \cdot \beta \cdot C; \text{ როცა } 0,5 \cdot R_s < \tau \leq 0,9 \cdot R_s \quad (8)$$

$$\text{ამასთან } 1 < C_1 \leq C \quad (9)$$

აქ: საშუალო მხეები ძაბვა საყრდენზე

$$\tau = Q_{აქ} / t \cdot h \quad (10)$$

$$\beta = \sqrt{[1 - (\tau/R_s)^2] / [1 - \alpha \tau/R_s]^2} \quad (11)$$

$f, h$  — შესაბამისად კოჭის კვეთის კედლის სისქე და სიმაღლე;  
 $\alpha = 0,7$  — კოეფიციენტი ორტესებრი კვეთისათვის, რომელსაც

უნდება კედლის სიბრტყეში ღუნვა.  $\alpha = 0$  სხვა განივკვეთებისათვის;

$R_s$  — ფოლადის საანგარიშო წინაღობა ძვრაზე;

$C$  — დამოკიდებულია განივკვეთის ფორმაზე, თაროსა და კედლის განივკვეთების ფართების ფარდობაზე (ცხრილი №2) და პლასტიკური დეფორმაციების განვითარების ხარისხზე.

ცხრილი 2. C-კოეფიციენტის განსაზღვრა

განივკვეთის სქემა	$A_f / A_w$	C
	0,25	1,19
	0,50	1,12
	1,0	1,07
	2,0	1,04

ბ. მოწმდება კოჭის განივკვეთი ჩალუნვაზე ფორმულით (ზღვრული მდგომარეობის მეოთხე წესი)

$$f/L = 5 \cdot q^s \cdot L^3 / 334 \cdot E \cdot J \leq |f| \quad (12)$$

სადაც  $|f/L|$  არის კოჭის ზღვრული ფარდობითი ჩალუნვა მთავარი კოჭებისათვის;

$|f/L_{გ.ა}| = 1/400$ ; დამხმარე კოჭებისათვის —  $f/L_{გ.ა} = 1/250$ ; ფენილის კოჭებისათვის —  $|f/L_{გ.ა}| = 1/150$ ;

$E$  — მასალის დრეკადობის მოდული;

$J$  — განივკვეთის ინერციის მომენტი მატერიალური ღერძის მიმართ;

გ. კედლის სიბრტყეში ღუნვადი ორტესებრი განივკვეთის საერთო მდგომარეობაზე შემოწმება სწარმოებს ფორმულით

$$M / \phi_b \cdot W_6 \leq R_y \gamma_c \quad (13)$$

სადაც  $W_6$  არის შეკუმშული სარტყლის (თაროს) წინაღობის მომენტი;

$\gamma_c = 0,95$  — მუშაობის პირობების კოეფიციენტი კოჭის საერთო მდგრადობაზე შემოწმებისას

$$\varphi_b = \varphi_1, \text{ როცა } \varphi_1 \leq 0,85;$$

$$\varphi_b = 0,68 + 0,21\varphi_1, \text{ როცა } \varphi_1 > 0,85.$$

$\varphi_b$  — მზიდუნარიანობის შემამცირებელი კოეფიციენტი ორი სიმეტრიის ღერძით ორტესებრი განივკვეთების მდგრადობაზე შემოწმებისას; დამოკიდებულია  $\varphi_1$  — კოეფიციენტზე, რომელიც განისაზღვრება ფორმულით (ამასთან  $\varphi_b < 1$ )

$$\varphi_1 = \psi \cdot J_y \cdot h^2 \cdot E / J_x \cdot L_{ef} \cdot R_y \quad (14)$$

სადაც  $\psi$  — განისაზღვრება ცხრ. № 3-დან  $\alpha$  — პარამეტრისა და დატვირთვის სახეობის მიხედვით. გაგლინული ორტესებრი კვეთისათვის

$$\alpha = 1,54 \cdot J_1 \cdot L_{ef}^2 / J_y \cdot h^2 \quad (15)$$

აქ:  $L_{ef}$  — კოჭის საანგარიშო სიგრძე;

$h$  — განივკვეთის მთლიანი სიმაღლე;

$J_y, J_x$  — განივკვეთის ინერციის მომენტები შესაბამისად „y—y“ და „X—X“ ღერძების მიმართ;

$J_1$  — განივკვეთის ინერციის მომენტი გრეხვისას.

კოჭი საერთო მდგრადობაზე შემოწმებას არ საჭიროებს თუ:

1. დატვირთვის გადაცემა ხდება ხისტი ფენილით, რომელიც უწყვეტად (მთელ სიგრძეზე) ეყრდნობა კოჭის ზედა სარტყელს და სამიწოდ კავშირშია მასთან (რკინაბეტონის ფილები, ბრტყელი და პროფილირებული ლითონის ფენილი, ტალღოვანი ფოლადი და სხვა).

2. კოჭის საანგარიშო სიგრძის ფარდობა შეკუმშული სარტყლის სიგანესთან  $L_{ef}/b$  არ აღემატება ცხრ. 4 მოცემულ სიდიდეებს.

№ 4 ცხრილში მიღებულია აღნიშვნები:

$b, t$  — შესაბამისად შეკუმშული სარტყლის სიგანე და სისქე;

$h$  — მანძილი (სიმაღლე) სარტყლის ფურცლების ღერძებს შორის;

$L_{ef}$  — კოჭის საანგარიშო სიგრძე.

ცხრილი 3.  $\varphi$ -კოეფიციენტის საანგარიშო ფორმულები.

კოჭის ზედა სარტყლის დატვირთვა რიგები მალში	დატვირთვის სახეობა კოჭის მალში	დატვირთულია სარტყელი	$\varphi$ -კოეფიციენტის მნიშვნელობები $\alpha$ -კოეფიციენტის მიხედვით	
			$0,1 \leq \alpha \leq 40$	$40 < \alpha \leq 100$
დამავრების გარეშე	შეყურსული	ზედა ქვედა	$\varphi = 1,75 + 0,09\alpha$ $\varphi = 5,05 + 0,09\alpha$	$\varphi = 3,3 + 0,053\alpha - 4,5 \cdot 10^{-5}\alpha^2$ $\varphi = 6,6 + 0,053\alpha - 4,5 \cdot 10^{-5}\alpha^2$
	თანაბრად განაწილებული	ზედა ქვედა	$\varphi = 1,6 + 0,08\alpha$ $\varphi = 3,8 + 0,08\alpha$	$\varphi = 3,15 + 0,04\alpha - 2,7 \cdot 10^{-5}\alpha^2$ $\varphi = 5,35 + 0,04\alpha - 2,7 \cdot 10^{-5}\alpha^2$
ორი და მეტი, რომლებიც მალს ყოფენ თანაბარ ნაწილებად	ნებისმიერი	ნებისმიერი	$\varphi = 2,25 + 0,07\alpha$	$\varphi = 3,6 + 0,04\alpha - 3,5 \cdot 10^{-5}\alpha^2$

ცხრილი 4.  $L_{ef}/b$  -ფარდობის მაქსიმალური სიდიდეები.


დატვირთვის მოდების აღვლი	$L_{ef}/b$ — მაქსიმალური სიდიდეები, როდესაც გაგლინული და შეღუფლებული კოჭების მდგრადობაზე განგარიშება საჭირო არ არის $1,0 \leq h/b < 6$ და $15 \leq b/t \leq 35$
ზედა სარტყელი	$L_{ef}/b = [0,35 + 0,0032 \cdot b/t + (0,76 - 0,02 \cdot b/t) \cdot b/h] \cdot \sqrt{E/R_y}$
ნებისმიერ ღონეზე, თუ განგარიშდება კოჭის ნაწილი კვეთებს შორის ან სუფთა ღუნვისას	$L_{ef}/b = [0,41 + 0,0032 \cdot b/t + (0,73 - 0,016 \cdot b/t) \cdot b/h] \cdot \sqrt{E/R_y}$

### § 2. 3. მთავარი (შეღვენილი შეღუფებული) კოჭის განგარიშება

#### 1. საანგარიშო სქემის დადგენა

მთავარი კოჭი წარმოადგენს ორ საყრდენზე თავისუფლად მდებარე ღუნვად ელემენტს, რომელიც დატვირთულია მისი საკუთარი წონით გამოწვეული თანაბრად განაწილებული მუდმივი დატვირთვით. ფენილის დატვირთვა მას გადაეცემა ფენილის კოჭებიდან შეყურსული და-

ლების სახით, რომლებიც ფენილის კოჭების გაორკეცებული რეაქციის ტოლი არიან (ნახ. 6).



ნახ. 6. მთავარი კოჭის საანგარიშო სქემა.

როცა მთავარ კოჭს მალში გადაეცემა 2, 3 ან 4 შეყურსული ძალა, მისი რეაქციისა და მლუნავი მომენტების გამოთვლა სირთულეს არ წარმოადგენს. თუ შეყურსული ძალების რიცხვი 5 ან მეტია, მათი შემოქმედება შეიძლება შეიცვალოს თანაბრადგანაწილებული დატვირთვით, რომლის ინტენსივობა ტოლია

$$P_1 = \Sigma P / L \quad (16)$$

ამრიგად, მთავარი კოჭის ერთგვრივ მეტრზე მოქმედებენ თანაბრადგანაწილებული დატვირთვები: ნორმატიული

$$q_{გთ}^n = g_n + P_1^6 \cdot l_{გ.კ.} + q_{გ.კ.}^n \quad (17)$$

საანგარიშო

$$q_{გთ}^b = (g^b + P_1^6 \cdot \gamma_d) \cdot L_{გ.კ.} + q_{გ.კ.}^b \cdot \gamma_a \quad (18)$$

აქ,  $q_{გ.კ.}^n$  — მთავარი კოჭის 1 გრძივი მ-ის საკუთარი წონა და საორიენტაციოდ მიიღება (1 ÷ 2) % მთლიანდ დატვირთვიდან.

## 2. ძალების განგარიშება

მთავარ კოჭში მლუნავი მომენტების მაქსიმალური მნიშვნელობები, გამოწვეული ნორმატიული და საანგარიშო დატვირთვების შემოქმედებით, გამოითვლება ფორმულებით:

$$M_{გ.კ.}^n = q_{გთ}^n \cdot L^2 / 3; \quad M_{გ.კ.}^b = q_{გთ}^b \cdot L^2 / 3 \quad (19)$$


საანგარიშო ძალა (განივი) კოჭის საყრდენზე ტოლია

$$Q_{გ.კ.}^b = q_{გთ}^b \cdot L / 2 \quad (20)$$

## 3. განივკვეთის ზომების დადგენა

ცნობილია, რომ შედგენილი კვეთები კოჭებში გამოიყენებიან მაშინ, როცა გაგლინული პროფილები ვერ აკმაყოფილებენ სიმტკიცის, სიხისტის, საერთო მდგრადობისა და სხვა მოთხოვნებს.

ასეთ შემთხვევებში (დიდი მძაღვისა და საანგარიშო ძალებისას) გამოიყენებიან ძირითადად შედუღებული ორტესებრივი განივკვეთის კოჭები, რომლებიც შედგებიან ფოლადის სამი ფურცლისაგან; ორი თარაზული—ასრულებს სარტყლების, ხოლო ერთი ვერტიკალური—კოჭის შვეული კედლის ფუნქციებს (ნახ. 7).



ნახ. 7. მთავარი კოჭის განივკვეთი.

ლითონის ეკონომიის მიზნით ხდება კოჭის განივკვეთის ცვლილება მის სიგრძეზე, მღუნავ მომენტთა ებიურის შესაბამისად, სარტყლების განივკვეთის ზომების ცვლილების გზით.

განივკვეთის ზომების სწორად დადგენა საწინდარია, მთლიანად კონსტრუქციის ეკონომიურობის და ტექნოლოგიურობისა.

### კვეთის სიმაღლის განსაზღვრა

ეს პარამეტრი განისაზღვრება:

1. მასალის მინიმალური ხარჯვის პირობით

$$h_{\text{ოპტ}} = K \cdot \sqrt{W_{\text{საჭ}} / t_w} \quad (21)$$

სადაც  $h_{\text{ოპტ}}$  არის კვეთის ოპტიმალური სიმაღლე:

$K$  — დამოკიდებული კოჭის კონსტრუქციულ გაფორმებაზე — სარტყლებისა და კედლის კონსტრუქციულ კოეფიციენტებზე. ცვლადკვეთიანი შედუღებული შედგენილი კოჭებისათვის  $K=1,15$ ;

$t_w$  — კედლის სისქე.

კოჭის წინაღობის მომენტი პლასტიკური დეფორმაციების გათვალისწინებით გამოითვლება ფორმულით

$$W_{\text{საჭ}} = M_{\text{მაქს}}^{\text{ს}} / R_y \cdot \gamma_c \cdot C_1 \quad (22)$$

სადაც  $R_y$  — აიღება ფლადის კლასის მიხედვით.

2. სიხისტის პირობიდან გამომდინარე, როცა უზრუნველყოფილია აუცილებელი სიხისტე, მასალის მზიდუნარიანობის მთლიანად გამოყენებისას, დრეკად-პლასტიკური დეფორმაციების გათვალისწინებით

$$h_{\text{სიხ}} = [5 \cdot R_y \cdot C_1 \cdot L \cdot (g^5 + P_{\text{ღ}}^5)] / [24 \cdot E \cdot (g^5 + P_{\text{ღ}}^5 \cdot \gamma_c)] \times [l/f] \quad (23)$$

სადაც  $(L/f)$  — აიღება ნორმებიდან, ფარდობითი ზღვრული ჩაღუნვის  $(f/L)$  — მიხედვით.

3. გადახურვის სამშენებლო სიმაღლის მიხედვით.

აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია, რომ კოჭის სიმაღლე მივიღოთ დაახლოებით  $h_{\text{ოპტ}}$  -ის ტოლი, მაგრამ არა უმცირესი ვიდრე  $h_{\text{სიხ}}$  -ია. ამასთან იგი არცერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს გადახურვის სამშენებლო სიმაღლეს.

$$h_{\text{სიხ}} \leq h_1 = h_{\text{ოპტ}} \leq h_{\text{საშპ}} \quad (24)$$

### კედლის სისქის განსაზღვრა

განივკვეთის შევუღლი კედლის სისქე განისაზღვრება:


1. ემპირიული ფორმულით, რაც გვაძლევს  $1 \div 2$  მ სიმაღლის კოჭებისათვის რაციონალურ მნიშვნელობას

$$t_w = 7 + 3 \cdot h_3 / 1000 \text{ მმ} \quad (25)$$

2. ნ. კ. უურავსკის ფორმულის საფუძველზე, რაც იძლევა ოპტიმალურ განივკვეთს ( $2 \cdot A_f = A_w$ , როცა შიდა ძალების მხარი  $J/S = 0,85$  მივიღებთ

$$t_w^{\text{ოპტ}} = 1,2 \cdot Q_{\text{მაქს}}^{\text{ს}} / h \cdot R_s \cdot \gamma_c \quad (25^{\text{ა}})$$

თუ ჭრილი შედგენილი კოჭის დაყრდნობა ხდება ტორსის ფურცლით (ნახ. 7 ა). ითვლება, რომ მხებ ძაბვებზე მუშაობს მხოლოდ კო-



ნახ. 7. ა. კოჭის დაყრდნობა ტორსის ფურცლით.

ის კედელი, მაშინ როცა კოჭის სარტყლები ვერ ჩაერთვნენ მუშაობაში. ამ შემთხვევაში კედლის სისქე განისაზღვრება პირობიდან

რ. ბიძინაშვილი

$$t_w = 3 \cdot Q / 2 \cdot h \cdot R_s \quad (25^b)$$

#### 4. კოჭის კვეთის შერჩევა

განისაზღვრება კოჭის კვეთის საჭირო ინერციის მომენტი ფორმულით

$$J_{კოჭ} = W_{საჭ} \cdot h_3 / 2 \quad (26)$$

$J_{კოჭ}$  — ნაწილდება კოჭის კედელსა და სარტყლებზე

$$J_{კოჭ} = J_{კედ} + J_{სარტ} \quad (27)$$

კედლის ინერციის მომენტი გამოითვლება ფორმულით

$$J_{კედ} = t_w \cdot h_{კედ}^3 / 12 \quad (28)$$

კოჭის სარტყლებზე მოსული ინერციის მომენტი ტოლია

$$J_{სარტ} = J_{კოჭ} - J_{კედ} = 2 \cdot A_f \cdot (h_f / 2)^2 = 2 \cdot b_f \cdot t_f \cdot (h_f / 2)^2$$

აქედან სარტყლის საჭირო სისქე

$$t_f = 2 \cdot J_{სარტ} / b_f \cdot h_f^2 \quad (29)$$

სადაც  $h_f$  არის სარტყლის სიგანე. საერთო მდგრადობის პირობიდან

გამომდინარე  $b_{f1} \approx (1/3 + 1/5) h_3$ ;

$h_f$  — სარტყლების სიმძიმის ცენტრებს შორის მანძილი.

სარტყლის და კედლის შედუღებისას, შესაძლოა საგრძნობი სიდიდის ჯდენის გამოქმნა დაბეჭდვის ალბერა, რის გამოც რეკომენდირებულია, რომ  $t_f$  — სისქე არ აღემატებოდეს 40 მმ-ს ან  $3 t_w$ -ს.

ენიდან სორტამენტში ფურცლოვანი ფოლადები მოცემული გარკვეული გრადაციით: სისქის, სიგანის და სიგრძის მიხედვით, საჭიროა გამოთვლილი სიდიდეების დაზუსტება სორტამენტის მიხედვით კვეთის დაზუსტებული ზომებით ისაზღვრება კვეთის ინერციის მომენტი

$$J = J_{კედ}' + 2 \cdot J_{სარტ}' = t_w' \cdot (h_{კედ}')^3 / 12 + 2 \cdot b_{f1}' \cdot t_f' \cdot (h_f' / 2)^2 \quad (3)$$

აქ არ არის გათვალისწინებული სარტყლების ინერციის მომენტები, მათი სიმძიმის ცენტრებზე გამავალი ღერძების მიმართ — სიმცირის გამო. კვეთის წინააღობის მომენტი.

$$W_3' = 2 \cdot J / h_3' \quad (31)$$

საბოლოოდ მოწმდება ძაბვა განივკვეთში ფორმულით

$$\sigma = M_{გაქმ} / C_1 \cdot W_3' \leq R_y \cdot \gamma_c \quad (32)$$

პარამეტრები პრიმიანი აღნიშვნებით შეესაბამება დაზუსტებულ განივკვეთს.

#### 5. კოჭის სიგრძეზე განივკვეთის ცვლილების შესახებ

განივკვეთის ცვლილება ხელსაყრელია სარტყლის სისქის ან სიგანის შეცვლით. ორ საყრდენზე თავისუფლად მდებარე კოჭში, რომელზეც მოქმედებს თანაბრადგანაწილებული დატვირთვა, კვეთის ცვლის უხელსაყრელესი წერტილი (რომელსაც შეესაბამება ფოლადის მინიმალური ხარჯი) მდებარეობს საყრდენიდან  $1/6 \cdot L$  — მანძილზე აღნიშნულ კვეთში მომენტის პოვნა შესაძლებელია გრაფიკულად და ანალიზურად ფორმულით

$$M_{1(x)} = q_{გთ}^b \cdot x \cdot (1 - x) / 2 \quad (33)$$

$M_1$  — მიხედვით განისაზღვრება საჭირო წინააღობის მომენტი  $W_1$  და ხდება ყველა პარამეტრების დადგენა ზემოთ განხილული გზით — ამასთან საჭიროა დატული იყოს პირობები

$$\left. \begin{aligned} b_{1,f} &\geq h_3 / 10; \\ b_{1,f} &\geq 180 \text{ მმ}; \\ b_{1,f} &\geq b_f / 2; \end{aligned} \right\} \quad (34)$$

სადაც  $b_{1,f}$  — შემცირებული განივკვეთის სარტყლის სიგანე.

მეორე ხერხით ინიშნება  $b_{1,f}$  — სიგანე და შემცირებული განივკვეთისათვის განისაზღვრება: ინერციის და წინააღობის მომენტები, მლუნავი მომენტი კვეთის ამტანუნარიანობის მიხედვით

$$J_1 = J_{კედ} + 2 \cdot b_{1,f} \cdot t_f \cdot (h_f / 2)^2$$

$$W_1 = 2 \cdot J_1 / h_3; \quad M_1 = W_1 \cdot C_1 \cdot R_y \cdot \gamma_c \quad (35)$$

პირობიდან  $M_{I(x)} = M_1$  განისაზღვრება აბსცისა, საყრდენიდან კვეთის ცვლის წერტილის თეორიული დაცილება.

### 6. კოჭის ელემენტების ადგილობრივ მდგრადობაზე შემოწმება

#### კოჭის კედელი

ადგილობრივი მდგრადობის უზრუნველსაყოფად კოჭის კედელი მაგრდება:

განივი ძირითადი სიხისტის წიბოებით—ეწყობა კედლის მთელ სიმაღლეზე;

განივი ძირითადი და გრძივი სიხისტის წიბოებით;

განივი ძირითადი და შუალედი მოკლე სიხისტის წიბოებითა და გრძივი წიბოთი (ამასთან შუალედი მოკლე წიბოები თავსდება შეკუმშულ სარტყელსა და გრძივ წიბოს შორის).

მდგრადობაზე მოწმდება კედლის სწორკუთხა მოხაზულობის ნაწილი (ფირფიტა), რომელიც მოთავსებულია სარტყლებსა და მეზობელ განივ ძირითად წიბოებს შორის. საანგარიშო სიდიდეებად მიღებულია:

$a$  — მანძილი ძირითადი განივი სიხისტის წიბოების დერძებს შორის;

$h_{ef}$  — კედლის საანგარიშო სიმაღლე.

შედუღებულ კოჭებში (ნახ. 8)


$$h_{ef} = h_{კედ} \quad (36)$$

კედლის მდგრადობის შემოწმება სწარმოებს დაძაბული მდგომარეობის ყველა კომპონენტების მიხედვით ( $\sigma$ ,  $\tau$ ,  $\sigma_{დგ}$ ), რომლებიც განისაზღვრებიან მასალის დრეკად სტადიაში მუშაობის დაშვებით, ბრუტო კვეთისათვის,  $\varphi_3$  — კოეფიციენტის გაუთვალისწინებლად, ფორმულებით:

$$\sigma = M \cdot y / J_x \quad (37)$$

$$\tau = Q / t_w \cdot h_{კედ} \quad (38)$$

$M$  და  $Q$ —მლუნავი მომენტისა და განივი ძალის საშუალო მნიშვნელობებია ფირფიტის ფარგლებში. თუ ფირფიტის სიგრძე მეტია მის საანგარიშო სიმაღლეზე, მაშინ  $M$  და  $Q$  უნდა გამოითვალოს ყველაზე



ნახ. 8. მთავარი კოჭის ფრაგმენტი და განივკვეთი.


დაძაბული უბნისათვის, რომლის სიგრძეც ფირფიტის სიმაღლის ტოლია.

თუ ფირფიტის ფარგლებში  $M$  და  $Q$  იცვლიან ნიშანს, მაშინ საშუალო მნიშვნელობები უნდა განისაზღვროს ფირფიტის ერთიან უბნის ფარგლებში. ადგილობრივი ძაბვა კედელში შეეყურსული ტვირთის ქვეშ განისაზღვრება ფორმულით

$$\sigma_{დგ} = P / t_w \cdot L_{ef} \leq R_y \cdot \gamma_c \quad (39)$$

სადაც  $L_{ef}$  — დატვირთვის გავრცელების პირობითი სიგრძეა და ტოლია (ნახ. 9)

$$L_{ef} = b + 2 \cdot t_f \quad (40)$$



ნახ. 9. დატვირთვის გავრცელების პირობითი სიგრძის განსაზღვრა.

ნორმების თანახმად კოჭის კედლის მდგრადობაზე შემოწმება საჭირო არ არის, თუ პირობითი მოქნილობის სიდიდე  $\lambda_w = h_{კვლ}/t_w) \times \times |R_y/E|$  არ აღემატება მნიშვნელობებს:

$\bar{\lambda}_w \leq 3,5$ —როდესაც  $\sigma_{აღ} = 0$  და სარტყლები კედელს უკავშირდებიან შედუღების ნაკერით ორივე მხრიდან;

$\bar{\lambda}_w \leq 3,2$ —როდესაც  $\sigma_{აღ} = 0$  და სარტყლები კედელს უკავშირდებიან შედუღების ნაკერით ერთი მხრიდან;

$\bar{\lambda}_w \leq 2,5$ —როდესაც  $\sigma_{აღ} \neq 0$  და ნაკერები ორივე მხრიდანაა.

დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია მხოლოდ სიმეტრიული (ორჯესებრი შედუღებული) კვეთის კოჭის კედლის მდგრადობაზე გაანგარიშება, რომელიც გამაგრებულია განივი ძირითადი სიხისტის წიბოებით.

6.1. თუ  $\sigma_{აღ} = 0$  და  $\lambda_w \leq 6$  მდგრადობა მოწმდება ფორმულით

$$\sqrt{(\sigma/\sigma_{კრ})^2 + (\tau/\tau_{კრ})^2} \leq \gamma \quad (41)$$

აქ  $\gamma_c = 1$  მუშაობის პირობების კოეფიციენტია კრიტიკული ნორმალური ძაბვა

$$\sigma_{კრ} = C_{კრ} \cdot R_y / \bar{\lambda}_w^2 \quad (42)$$

კრიტიკული მხები ძაბვა

$$\tau_{კრ} = 1,3 \cdot (1 + 0,76/\mu^2) R_s / \bar{\lambda}_{ef}^2 \quad (43)$$

შედუღებული კოჭებისათვის  $C_{კრ}$  განისაზღვრება ცხრილი № 5-დან, ბ-ს მიხედვით

ცხრილი 5.  $C_{კრ}$ -კოეფიციენტის განსაზღვრა.

$\delta$	$\leq 0,8$	1,0	2,0	4,0	6,0	10,0	$\geq 30$
$C_{კრ}$	30,0	31,5	33,3	34,0	34,8	35,1	35,5

$$\delta = \beta \cdot b_f \cdot t_f^3 / h_{ef} \cdot t_w^3 \quad (44)$$

სადაც  $b_f$  და  $t_f$  — შესაბამისად, კოჭის შეკუმშული სარტყლის სიგანე და სისქე;

$\beta = \infty$ —ზედა სარტყელზე ფილების უწყვეტად დაყრდნობისას;

$\beta = 0,8$ —დანარჩენ შემთხვევებში;

$\mu$  — ფირფიტის დიდი გვერდის მცირესთან ფარდობა;

$d$  — ფირფიტის მცირე გვერდი ( $h_{ef}$  ან  $a$ )

$$(43) \text{ ფორმულაში } \bar{\lambda}_{ef} = (d/t_w) \cdot \sqrt{R_y/E}$$

6.2. თუ სიმეტრიული კვეთის კედელი გაანგარიშდება მდგრადობაზე პლასტიკური დეფორმაციების წარმოშობის გათვალისწინებით, როცა

$$\sigma_{აღ} = 0; \tau \leq 0,9 R_s; A_f/A_w \geq 0,25; 2,2 \leq \lambda_w \leq 6$$

ანგარიში სწარმოებს ფორმულით

$$M \leq R_y \cdot \gamma_c \cdot h_{ef}^2 \cdot t_w \cdot (A_f/A_w + \alpha) \quad (45)$$

სადაც

$$\alpha = 0,24 - 0,15 \cdot (\tau/R_s)^2 - 8,5 \cdot 10^{-3} \cdot (\bar{\lambda}_w - 2,2)^2 \quad (46)$$

6.3. თუ  $\sigma_{აღ} \neq 0$ , გაანგარიშება სწარმოებს ფორმულით

$$\sqrt{(\sigma/\sigma_{კრ} + \sigma_{აღ}/\sigma_{აღ,კრ})^2 + (\tau/\tau_{კრ})^2} \leq \gamma_c \quad (47)$$

სადაც  $\sigma$ ,  $\tau$  და  $\sigma_{აღ}$  განისაზღვრებიან შესაბამისად (37), (38) და (39) ფორმულებით;

$\tau_{კრ}$  — განისაზღვრება (43) ფორმულით;

$\sigma_{კრ}$  და  $\sigma_{აღ,კრ}$  განისაზღვრება:

ა. თუ  $a/h_{კვლ} \leq 0,8$ , მაშინ  $\sigma_{კრ}$  — (42) ფორმულით და

$$\sigma_{აღ,კრ} = C_1 \cdot R_y / \bar{\lambda}_a^2 \quad (48)$$

$$\text{სადაც } \bar{\lambda}_a = (a/t_w) \cdot \sqrt{R_y/E}$$

$C_1$ —განისაზღვრება ცხრ. 6-დან (44) ფორმულით გამოთვლილი  $\delta$ -სა და  $a/h_{კვლ}$  — ფარდობის მიხედვით.

ბ. თუ  $a/h_{კვლ} > 0,8$  და  $\sigma_{აღ}/\sigma < 3,939$  (3,939—ცხრილში მაქსიმალური სიდიდეა ამ ფარდობისათვის)

$$\sigma_{კრ} = C_2 \cdot R_y / \bar{\lambda}_w^2 \quad (49)$$

ცხრილი 6.  $C_1$ -კოეფიციენტის მნიშვნელობები.

ბ	a/h <sub>კვლ</sub>								
	≤ 0,5	0,6	0,8	1,0	1,2	1,4	1,6	1,8	≥ 2,0
≤ 1	11,5	12,4	14,8	18,0	22,1	27,1	32,6	38,9	45,6
2	12,0	13,0	16,1	20,4	25,7	32,1	39,2	46,5	55,7
4	12,3	13,3	16,8	21,6	28,1	36,3	45,2	54,9	65,1
6	12,4	13,5	16,8	22,1	29,1	38,3	48,7	59,4	70,9
10	12,4	13,6	16,9	22,5	30,0	39,7	51,0	63,3	76,5
≥ 30	12,5	13,7	17,0	22,5	31,0	41,6	53,8	68,2	83,6

ცხრილი 7.  $C_2$ -კოეფიციენტის მნიშვნელობები.

ბ	a/h <sub>კვლ</sub>							
	0,8	0,9	1,0	1,2	1,4	1,6	1,8	≥ 2,0
≤ 1	0	0,146	0,183	0,267	0,359	0,445	0,540	0,518
2	0	0,109	0,169	0,277	0,406	0,543	0,652	0,759
4	0	0,072	0,129	0,281	0,479	0,711	0,930	1,132
5	0	0,066	0,127	0,288	0,536	0,874	1,192	1,454
10	0	0,059	0,122	0,296	0,574	1,002	1,539	2,154
≥ 30	0	0,047	0,112	0,300	0,633	1,283	2,249	3,939

აქ:  $C_2$ —განისაზღვრება ცხრილი № 7-დან  $a/h_{კვლ}$  და ბ-ს მიხედვით წრფივი ინტერპოლაციით;

აღმკრ — განისაზღვრება (48) — ფორმულით, რომელშიც:

თუ  $a/h_{კვლ} > 2$ , მიღებული უნდა იქნას  $a = 2 \cdot h_{კვლ}$ .

ბ. თუ  $a/h_{კვლ} > 0,8$  და  $\sigma_{აღმკრ} \leq 3,939$

$\sigma_{კრ}$  — განისაზღვრება (42) ფორმულით;


$\sigma_{აღმკრ}$  — განისაზღვრება (48) ფორმულით, მაშინ  $a$  — სიდიდის ნაცვლად  $a/2$ -ის ჩასმით.

§ 2. ლ. შეღვენილი კოჭის კონსტრუქციის დაპროექტება  
შეღვენილი კოჭის პირაპირები

კოჭებში არსებობს ორი ტიპის პირაპირი საქარხნო და სამონტაჟო.

საქარხნო პირაპირები ხორციელდებიან ქარხანაში და წარმოადგენენ კოჭის ცალკეული ელემენტების შეერთებებს (კედლის, სარტყლები), რომლებიც კეთდებიან სორტამენტის შეზღუდულობის ან ქარხნის სტენდებსა და დანადგარ—მოწყობილობებზე გარკვეული გაბარიტების კონსტრუქციითა და მზადების შესაძლებლობის გამო. მათი ადგილი კოჭის სიგრძეზე დამოკიდებულია ქარხანაში არსებული ნაგლინი პროფილების სიგრძეებზე, კონსტრუქციულ მოსაზრებებზე (მაგალითად კედლის პირაპირი არ უნდა ემთხვეოდეს დამხმარე კოჭის მთავართან შეუღლების ადგილს, სიხისტის წიბოების განლაგების სიბრტყეებს). აუცილებელია ცალკეული ელემენტების პირაპირები მოეწყოს კოჭის სიგრძეზე სხვადასხვა ადგილებში, შეძლებისდაგვარად განიკვეთის შესუსტების თავიდან ასაცილებლად (ნახ. 10 ა).

სამონტაჟო პირაპირები ხორციელდებიან კონსტრუქციების მონტაჟისას და მათი არსებობა დაკავშირებულია მთლიანად კონსტრუქციის დიდ მასას ან გაბარიტულ ზომებთან. ასეთ შემთხვევაში კოჭი იყოფა გასაგზავნად ელემენტებად (პირაპირები ჭრილ კოჭებში განლაგდებიან: მალის შუაში ან სიმეტრიულად შუის მიმართ), რომლებიც



ნახ. 10. მთავარი კოჭის პირაპირები: ა. ქარხნული; ბ. სამონტაჟო შეუღლებული პირაპირები

უხელსაყრელესად აკმაყოფილებენ ტრანსპორტირებისა და მონტაჟის მოთხოვნებს.

სამონტაჟო პირაპირები შეიძლება განხორციელდნენ სამი ხერხით: შედუღებით, მოქლონებით და მაღალი სიმტკიცის ჭანჭიკებით.

### შედუღებული პირაპირები

შედუღებული საქარხნო პირაპირები ეწყობა ცალკეულ ელემენტებში, გავლინული ფურცლების შეპირაპირებით, კოჭის აწყობამდე (გამოლიანებამდე). პირაპირები სრულდებიან ფურცლების უშუალოდ მიდგმის ხერხით. კედელი და ზედა სარტყელი შეპირაპირდება სწორი ნაკერით (ნაკერის ღერძი მართობია ელემენტის გრძივი ღერძისა), ხოლო ქვედა სარტყელი კი დახრილი ნაკერით, იმ შემთხვევაში, თუ ძაბვა ნაკერის მოწყობის ადგილზე —  $R_y$  აჭარბებს შედუღების ნაკერის საანგარიშო წინაღობის ვაჭიმვაზე —  $R_{wy}$ -ს. ამდენად, სწორი ნაკერის მოწყობისათვის ქვედა სარტყელში საჭიროა დაცული იყოს პირობა

$$\sigma_{კვ} \leq R_{wy} \quad (50)$$

შედუღებული სამონტაჟო პირაპირები კოჭის ზედა სარტყელსა და კედელში კეთდება უშუალო მიდგმით, სწორი ნაკერით, ხოლო ქვედა სარტყელში დახრილი ნაკერით. ყველა ელემენტები შეპირაპირდებიან ერთ სიბრტყეში (გასაგზავნ ელემენტს კიდებზე არ უნდა პქონდეს გამოშვებული ნაწილები) და პირაპირი კოჭის ძირითადი განივკვეთის თანაბარსიმტკიცისაა. პირაპირში ადგილი აქვს კედლის გადაძაბვას ქვედა სარტყლის მახლობლად, რაც საშიშროებას არ წარმოადგენს, რადგან აღნიშნული უბანი მთლიანად მოთავსებულია დრეკადამოკუმუშავე კოჭის ზონებს შორის, განიცდის შემოფარგლულ დეფორმაციებს და მისი პლასტიკური რღვევა შეუძლებელია. შემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ასეთი პირაპირის გაანგარიშება საჭირო არ არის (ნახ. 10 ბ).

### სამონტაჟო პირაპირები მაღალი სიმტკიცის ჭანჭიკებით

სამონტაჟო პირაპირის მოწყობისას საჭიროა, რომ ყველა შესაერთებელი ელემენტი დაუკავშირდეს ერთიმეორეს ზედებით, რომელ-

თა ფართი კონკრეტულ შემთხვევაში იქნება შესაპირაპირებელი ელემენტის ფართის ტოლი ან აღმატება მას.

კოჭის კედლის და სარტყლების პირაპირები გადაიფარებიან ზედებით ორივე მხრიდან, ამასთან თითოეული ელემენტის პირაპირი განგარიშდება ცალკე-ცალკე (სხვა პირაპირებისაგან დამოუკიდებლად).

სარტყლის პირაპირი გაანგარიშდება მისი ნეტო ფართის მიხედვით. მაღალი სიმტკიცის ჭანჭიკების რაოდენობა შეერთებაში განისაზღვრება ფორმულით

$$n \geq 1,18 \cdot A_{გებო}^b \cdot R_y \cdot \gamma_c / Q_{bh} \quad (81)$$

სადაც  $1,18 A_{გებო}^b$  — სარტყლის განივკვეთის პირობითი ფართი (როცა  $A_{გებო}^b < 0,85 A_j$ ;

$Q_{bh}$  — საანგარიშო ძალვა, რომელიც ერთი ჭანჭიკის მოჭიმვით შეიძლება მიღებული იქნას შესაერთებელი ელემენტების თითოეული ხახუნის ზედაპირის მიერ, გამოითვლება ფორმულით

$$Q_{bh} = R_{bh} \cdot \gamma_b \cdot A_{გებო}^b \cdot \mu \cdot K / \gamma_n \quad (52)$$

აქ:  $R_{bh}$  — მაღალი სიმტკიცის ჭანჭიკის საანგარიშო წინაღობა ვაჭიმვაზე;

$\mu, \gamma_n$  — შესაბამისად ხახუნის და საიმედობის კოეფიციენტები [1], ცხრ. 36);

$A_{გებო}^b$  — ჭანჭიკის განივკვეთის ნეტო ფართი;

$\gamma_b$  — შეერთების მუშაობის პირობების კოეფიციენტი, დამოკიდებულია ჭანჭიკების რიცხვზე, რომელიც საჭიროა საანგარიშო ძალვის მისაღებად

$$\text{თუ } n < 5, \quad \gamma_b = 0,8;$$

$$\text{თუ } 5 \leq n < 10, \quad \gamma_b = 0,9;$$

$$\text{თუ } n \geq 10, \quad \gamma_b = 1,0.$$

მაღალი სიმტკიცის ჭანჭიკის მოჭიმვა სწარმოებს ღერძული ძალით

$$P = R_{bh} \cdot A_{გებო}^b \quad (53)$$

n—ჭანჭიკების რიცხვი უნდა მოთავსდეს პირიპირის თითოეულ მხარეს, ნახევარზედზე.

კედლის პირაპირი მოწმდება მის განივკვეთში მღუნავი მომენტისა და განივი ძალის ერთობლივ მოქმედებაზე.

შეერთების ყველაზე დაძაბულ, განაპირა ჭანჭიკზე მომქმედი პორიზონტალური ძალა, რომელიც აღძრულია მღუნავი მომენტისაგან, განისაზღვრება ფორმულით

$$N_{\text{ჭანჭ}}^{\text{მ}} = M_{\text{კედ}} \cdot h_{\text{ჭანჭ}} / m \cdot \Sigma h_i^2 \quad (54)$$

კოჭის კედელზე მოსული მღუნავი მომენტი ტოლია

$$M_{\text{კედ}} = M_3 \cdot J_{\text{კედ}} / J_3 \quad (55)$$

სადაც  $h_{\text{ჭანჭ}}$  — მანძილი განაპირა ჭანჭიკებს შორის;

$m$  — ნახევარზედზე ჭანჭიკების ვერტიკალური რიგების (სვეტების) რიცხვი;

$$\Sigma h_i^2 = (h_1^2 + h_2^2 + h_3^2 + \dots) \quad (56)$$

$h_i$  — მანძილი  $i$ —პორიზონტალური რიგის (მწკრივის) ჭანჭიკებს შორის.

განივი ძალა პირაპირში, პირობით მთლიანად კოჭის კედელზე მოდის და თანაბრად ნაწილდება ნახევარზედზე განლაგებულ ჭანჭიკებზე

$$V_{\text{ჭანჭ}} = Q/n \quad (57)$$

აქ  $n$ —ჭანჭიკების რაოდენობა ნახევარზედზე.

განაპირა ჭანჭიკზე მომქმედი ძალთა ტოლქმედი განისაზღვრება ფორმულით


$$N_{\text{გან}} = \sqrt{N_{\text{ჭანჭ}}^2 + V_{\text{ჭანჭ}}^2} \quad (58)$$

კედლის პირაპირში დაცული უნდა იყოს პირობა

$$N_{\text{გან}} \leq Q_{\text{ბი}} \quad (59)$$

## კოჭების დაყრდნობისა და შეუღლების კონსტრუქციები

სახელმძღვანელოში განხილულია მთავარი კოჭის სვეტზე დაყრდნობა ტორსის (გვერდითი) ფურცლის საშუალებით (ნახ. 11), რომლის განივკვეთის ზომები განისაზღვრება თელვის პირობიდან



ნახ. 11. კოჭების დაყრდნობა სვეტზე.

$$\sigma_{\text{თელ}} = Q_{\text{გან}} / A_{\text{თელ}} \leq R_p \cdot \gamma_c \quad (60)$$


აქ  $R_p$  — ფოლადის სანგარიშო წინაღობა გვერდითი ზედაპირის თელვაზე. ტორსის ფურცლის გამონაშვებრი

$$a \leq 1,5 \cdot t_{\text{ფ}} \quad (61)$$

სადაც  $t_{\text{ფ}}$  — ტორსის ფურცლის სისქე. ხშირად აიღება  $a = 15 \div 20$  მმ.

კოჭის საყრდენი ნაწილი მოწმდება მდგრადობაზე, როგორც პირობითი დგარი, რომლის განივკვეთის ფართი მოიცავს: ტორსის ფურცლისა და კედლის ნაწილის ფართს  $K = 15 t_w$  -სიგანეზე (ნახ. 12), ფორმულით

$$\sigma_{\text{დგ}} = Q_{\text{გან}} / \varphi \cdot A_{\text{გან}} \leq R_y \cdot \gamma_c \quad (62)$$



ნახ. 12. პირობითი დგარი.

პირობითი დგარის ფართი

$$A_a = b_{\text{ფ.ფ.}} \cdot t_{\text{ფ.ფ.}} + 15 \cdot t_w^2 \quad (63)$$

$\varphi$  — გრძივი ღუნვის კოეფიციენტი, დამოკიდებული დგარის მოქნილობაზე

$$\lambda = h_a / i_{\text{ფა}} = h_a / \sqrt{J_x / A_{\text{ფა}}} \quad (64)$$

ტორსის ფურცლის კოჭის კედელთან შეერთება გაანგარიშდება ფორმულით

$$Q_{\text{ფაფ.}} / 2 \cdot K_f \cdot L_w \leq (R_w \cdot \gamma_w \cdot \beta_{\text{ფაფ.}} \cdot \gamma_c) \quad (65)$$

სადაც  $(R_w \cdot \gamma_w \cdot \beta_{\text{ფაფ.}})$  — უმცირესია:  $(R_{wf} \cdot \gamma_f \cdot \beta_f)$  და  $(R_{wz} \cdot \gamma_{wz} \cdot \beta_z)$  სიღიდევებს შორის;

$K_f$  — ნაკერის კათეტი;

$\beta_f, \beta_z$  — ნაკერის სიღრმითი ჩადუღების კოეფიციენტები, რომლებიც დამოკიდებული არიან შედუღების სახესა და ნაკერის მდებარეობაზე (ქვედა, ვერტიკალური და სხვა): ფოლადებისათვის, რომელთა  $\sigma_{\text{დენ}} \leq 59,0$  კნ/სმ<sup>2</sup>,

$\beta_f$  და  $\beta_z$  აიღებთან ცხრ. 34-დან [2]. თუ  $\sigma_{\text{დენ}} > 59$  კნ/სმ<sup>2</sup>  $\beta_f = 0,7$  და  $\beta_z = 1,0$ ;

$L_w$  — ნაკერის საანგარიშო სიგრძე. აიღება მთლიან (ფაქტიურ) სიგრძეზე 10 მმ-ით ნაკლები;

$\gamma_{wf}, \gamma_{wz}$  — შედუღებით შეერთების მუშაობის პირობების (საიმედობის მუშაობის მიხედვით) კოეფიციენტები, ტოლნი ერთის, იმ შემთხვევების გარდა, გარდა, როცა მშენებლობა მიმდინარეობს I<sub>1</sub>, I<sub>2</sub>, II<sub>2</sub> და II<sub>3</sub> რაიონებში, რომელთათვისაც:

$\gamma_{wf} = 0,85$ , თუ  $R_{w\text{min}} = 42,0$  კნ/სმ<sup>2</sup> და  $\gamma_{wz} = 0,85$  — ყველა ფოლადისათვის.

მთავარი და ფენილის კოჭების შეუღლება ხდება ერთ დონეზე, სახსროვნად, სადაც ფენილის კოჭიდან მთავარს გადაეცემა რეაქციის ძალა.

ჭანჭიკების რაოდენობა ამ შეუღლებაში

$$n \geq Q_{\text{ფ.ფ.}} / N_{\text{ჭიკ}}^{\text{ჭიკ}} \quad (66)$$

სადაც  $Q_{\text{ფ.ფ.}}$  — ფენილის კოჭის რეაქცია.

$N_{\text{ჭიკ}}^{\text{ჭიკ}}$  — ჭანჭიკის მინიმალური ამტანუნარიანობა, აიღება ჭრის და თელვის პირობიდან გამოთვლილი ერთი ჭანჭიკის ამტანუნარიანობებს შორის უმცირესი;

ჭრის პირობიდან

$$N_{\text{ჭიკ}}^{\text{ჭიკ}} = R_{\text{ბს}} \cdot \gamma_b \cdot A \cdot n_{\text{ჭიკ}} \quad (67)$$

თელვის პირობიდან გამომდინარე

$$N_{\text{თელ}}^{\text{თელ}} = R_{\text{ბპ}} \cdot \gamma_b \cdot d \cdot \Sigma t \quad (68)$$

სადაც  $R_{\text{ბს}}, R_{\text{ბპ}}$  — ჭანჭიკებით შეერთების საანგარიშო წინაღობებო ჭრასა და თელვაზე;

$d$  — ჭანჭიკის ღეროს გარე დიამეტრი;

$\Sigma t$  — ერთი მიმართულებით თელვადი ფურცლების სისქეთა მინიმალური ჯამი;

$n_{\text{ჭიკ}}$  — ჭანჭიკის საანგარიშო ჭრათა რიცხვი;

$\gamma_b$  — ტანჯივებით შეერთების მუშაობის პირობების კოეფიციენტი (ცხრ. 8).

ცხრილი 8. შებენიანობის მუშაობის პირობების  $\gamma_b$  -კოეფიციენტი.

შეერთების სახე	შეერთების პ. პ. კ. $\gamma_b$
1. მრავალტანჯივანი, კრაზე და თელვაზე ანგარიშისას; ამალღებული სიხუსტის ტანჯივებით.	1,0
2. ტანჯივებით, როდესაც შესაერთებელი ელემენტების ფოლადების ზღვარი 39 კნ/სმ <sup>2</sup> -მდეა, თელვაზე ანგარიშისას მანძილებით: a-ძალის გასწვრივ, ელემენტის კიდიდან უახლოესი ხვრეტის ცენტრამდე; b-ხვრეტების ცენტრებს შორის (ერთტანჯივანი შეერთებაში a=1,5d, მრავალტანჯივანში—a=1,5d და b=2, d).	0,85
3. ნორმალური სიხუსტის და უხეში (შავი) ტანჯივებით	0,9

შენიშვნა: 1). 1 და 2 პუნქტებში მოცემული კოეფიციენტები ერთდროულად მიიღებინ მხედველობაში.  
2). 2 პუნქტსა და ნორმალურ ბიჯებს შორის a-ს და b-ს მნიშვნელობებისათვის  $\gamma_b$  -იღება ინტერპოლაციით.

§ 3. სვეტის გაანგარიშება

1. განივკვეთის ტიპის ამორჩევა

სვეტს, როგორც ცენტრალურ კუმშვაზე მომუშავე ღეროს შეიძლება ქონდეს მთლიანკედლიანი ან განგმირკედლიანი განივკვეთი. განივკვეთის ტიპის ამორჩევისას მიღებული უნდა იქნას ყველაზე ეკონომიური ვარიანტი, ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნას დატვირთვები, სვეტის სიმაღლე, ექსპლოატაციის პირობები და სხვა.

განგმირკედლიანი განივკვეთები მიიღება, თუ სვეტზე მომქმედი მკუმშავი ძალა 2700 ÷ 6000 კნ-ს ფარგლებშია. უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვებისას მთლიანკედლიანი განივკვეთი აიღება. ნალუნი პროფილების შემთხვევებში (მაგალითად მცირე სიმაღლეებისა H < 6 მ და H = 400 ÷ 800 კნ), შესაძლებელია მთლიანკედლიანი განივკვეთები აღმოჩნდნენ უფრო ეკონომიურნი, განგმირკედლიანებთან შედარებით.

ქვემოთ განხილულია ორივე ტიპის სვეტის განივკვეთის შერჩევა.

§ 2. მთლიანკედლიანი სვეტები

განისაზღვრება სვეტზე მომქმედი სანგარიშო დატვირთვა

$$N = 2 \cdot Q_{\text{გაქს}}^b + G_{\text{სვ}} \quad (69)$$

სადაც  $Q_{\text{გაქს}}^b$  — მთავარი კოჭის რეაქცია (20)—ფორმულით; სვეტის საორიენტაციო საკუთარი წონა

$$G_{\text{სვ}} = 2 \cdot Q_{\text{გაქს}}^b \cdot H_{\text{სვ}} \cdot \gamma \cdot a \cdot \gamma_g / \varphi \cdot R_y \cdot \gamma_c \quad (70)$$

სვეტის ფაქტიური სიმაღლე

$$H_{\text{სვ}} = H - h_{\text{ფ}} - h_{\text{მთკ}} + h_{\text{სი}} \quad (71)$$

აქ H — სართულშუა გადახურვის ზედა ნიშნული;

$h_{\text{ფ}}$  — ფენილის სიმაღლე;

$h_{\text{მთკ}}$  — მთავარი კოჭის სიმაღლე;

$h_{\text{სი}}$  — სვეტების სიმაღლის ნაწილი, რომელიც მოქცეულია იატაკის დონის ქვევით.

სვეტის განივკვეთის საჭირო ფართი პირველი მიახლოებით განისაზღვრება ფორმულით

$$A_{\text{საჭ}} = N / \varphi \cdot R_y \cdot \gamma_c \quad (72)$$

$\varphi$  — გრძივი ღუნვის კოეფიციენტი, აიღება ცხრილიდან ღეროს მოქნილობის მიხედვით, რომელიც საორიენტაციოდ ინიშნება:

თუ  $N \leq 2500$  კნ;  $H = 5 \div 6$  მ; მაშინ  $\lambda = 70 \div 100$ .

თუ  $N = 2500 \div 4000$  კნ;  $\lambda = 50 \div 70$ .

$A_{\text{საჭ}}$  -ს შესაბამისი განივკვეთის საჭირო ინერციის რადიუსი

$$i_{\text{საჭ}} = H_0 \lambda \quad (73)$$


სადაც  $H_0 = \mu \cdot H_{\text{სვ}}$  — სვეტის სანგარიშო სიმაღლე, დამოკიდებული მისი ბოლოების ჩამავრების ხარისხზე;

$\mu$  — სანგარიშო სიმაღლეზე (სიგრძეზე) დაყვანის კოეფიციენტი, რომელიც აიღება ნახ. 13-ს მიხედვით განივკვეთის საჭირო გენერალური ზომები

$$h_{\text{საჭ}} = i_{\text{საჭ}} / \alpha_1; \quad h_{\text{საჭ}} = i_{\text{საჭ}} / \alpha_2 \quad (74)$$

$\alpha_1, \alpha_2$  — (აიღება ცხრ. № 9-დან) შესაბამისად h-ის b-ს კოეფიციენტები განივკვეთის ფორმის მიხედვით.

შეირჩევა სარტყლების სისქეები, სადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ადგილობრივი მდგრადობა.



ნახ. 13. საანგარიშო სიგრძეზე დაყვანის კოეფიციენტები.

სარტყლებისა და კედლის სიგანეების ფარდობები მათ სისქეებთან არ უნდა აღემატებოდეს ამ ფარდობათა ზღვრულ მნიშვნელობებს (ცხრ. 27 და 29 [1]), რომლებიც დადგენილი არიან მთლიანად ღეროსა და მისი ელემენტების თანაბარსიმტკიცის პირობით.

ჩვეულებრივ პირველი მიახლოებით შეუძლებელია რაციონალური კვეთის შერჩევა, რომელიც განსაზღვრავდა  $A_{საჭ}$ ,  $b_{საჭ}$  და  $h_{საჭ}$  მისაღებ სიდიდეებს, რადგან ღეროს მოქნილობა— $\lambda$  საორიენტაციოდ იყო აღებული. კერძოდ: თუ  $\lambda$  — აღებულია დიდი, განივკვეთი მიიღება დიდი ფართის და მცირე განივკვეთის  $h$ ,  $b$ —ზომებით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა  $h$ ,  $b$  სიდიდეების გაზრდა და განივკვეთის  $A_{საჭ}$  — ფართის შემცირება. თუ  $\lambda$  — აღებულია მცირე, ადგილი ექნება ზემოთაღნიშნულის საწინააღმდეგო შემთხვევას.

ამრიგად, საჭირო ხდება განივკვეთის ძირითადი კომპონენტების კორექტირება, რის შედეგად მიღებული  $A$ ,  $b$ ,  $h$ —სიდიდეებით II მიახლოებაში მოწმდება განივკვეთი.

განისაზღვრება:  
ინერციის რადიუსები „x—x“ და „y—y“ ღერძების მიმართ

$$i_x = \alpha_1 \cdot h; \quad i_y = \alpha_2 \cdot b \quad (75)$$

მინიმალური ინერციის რადიუსით, მაქსიმალური მოქნილობა და მისი შესაბამისი გრძივი ღუნვის კოეფიციენტი

$$\lambda_{მ.კ.ს} = H_0 / i_{მინ}; \quad \varphi_{მინ} = f(\lambda_{მ.კ.ს}) \quad (76)$$

ა-ს სიხშირე ასეა მისი რადიუსი I I

$L_1$	0.50 R	0.70 R	1.00 R	2.00 R	0.44 R	0.44 R
$L_2$	0.20 b	0.44 b	0.66 b	0.66 b	0.44 b	0.44 b

ცხრ. 9. ინერციის რადიუსების მნიშვნელობები.

მოწმდება ძაბვა განივკვეთში

$$\sigma = N / \varphi_{მინ} \cdot A \cdot \gamma \leq R_y \cdot \gamma_c \quad (77)$$

თუ საჭიროა, ხდება კიდევ ერთი კორექტირება.

განივკვეთის საბოლოოდ მიღების შემდეგ განისაზღვრება მისი უდიდესი მოქნილობა და შესაბამისი გრძივი ღუნვის კოეფიციენტი:

$$\lambda'_x = H_{0x} / i_x; \quad \lambda'_y = H_{0y} / i_y \quad (78)$$

სადაც: ინერციის რადიუსები

$$i_x = \sqrt{J_x / A'}; \quad i_y = \sqrt{J_y / A'} \quad (79)$$

$\lambda'_x$  და  $\lambda'_y$  -ს მიხედვით აიღება  $\lambda_{მ.კ.ს}'$  — უდიდესი მოქნილობა.  $\lambda_{მ.კ.ს}'$  განსაზღვრავს  $\varphi_{მინ}'$  — მინიმალურ გრძივი ღუნვის კოეფიციენტს (ცხრ. 72 [1]).

საბოლოოდ რეალური განივკვეთი მოწმდება ფორმულით

$$N / \varphi_{მინ}' \cdot A' \leq R_y \cdot \gamma_c \quad (80)$$

სადაც  $A'$  — საბოლოოდ მიღებული განივკვეთის ფართი;

$J_x$ ,  $J_y$  — ამ განივკვეთის ინერციის მომენტები შესაბამისად „x—x“ და „y—y“ ღერძების მიმართ.

სვეტის კედლის ადგილობრივ მდგრადობაზე შემოწმება

სვეტის კედლის საანგარიშო სიმაღლის— $h_0$ , მის სისქესთან— $t$  ფარდობები განისაზღვრებიან ნახ. ა-ს და ცხრ. ა-ს მიხედვით.


თაროს ხ<sub>0</sub>—ნაშვერის ფარდობა მის სისქესთან— $t_0$ , როცა პირობითი მოქნილობა  $\lambda = 0,8 \div 4,0$ , განისაზღვრება ფორმულით

$$b_0/t_0 \leq (0,26 + 0,1\lambda) \cdot \sqrt{E/R} \quad (80^a)$$

თუ სვეტის განივკვეთი შერჩეულია ზღვრული მოქნილობის მიხედვით ( $h_0/t_0$  და  $b_0/t_0$ ) — ფარდობების მაქსიმალური მნიშვნელობები მრავლებიან  $\sqrt{R \cdot \varphi/\sigma}$  სიდიდეზე. სადაც  $\sigma = N/A \leq 1,2$  და  $\lambda \leq 3,2 \sqrt{E/R}$  — (ორტესებრი განივკვეთებისათვის).

ცხრ. ა.  $h_0/t_0$ —ფარდობების ზღვრული სიდიდეები.

ლეროს განივკვეთი	$h_0/t_0$ —ზღვრული ფარდობების სიდიდეები	
	$\lambda > 0,8$	$\lambda \leq 0,8$
ორტესებრი	$h_0/t_0 \leq (0,26 + 0,1\lambda) \cdot \sqrt{E/R} \leq 2,9 \sqrt{E/R}$	$\sqrt{E/R}$
შველურებიანი კოლოფის მშვიდგარი	$h_0/t_0 \leq (0,85 + 0,19\lambda) \cdot \sqrt{E/R} \leq 1,6 \sqrt{E/R}$	$\sqrt{E/R}$




ნახ. ა. მთლიანკედლიანი სვეტის განივკვეთი.

თუ  $h_0/t_0 \leq 2,2 \sqrt{E/R}$ , განივი სიხისტის წიბოები ეწყობა  $2,5 \div 3,0$  მ მანძილზე, მაგრამ არანაკლები ორი წიბოსი ერთ გადასაზიდ ელემენტში.

### 3. განგმირკედლიანი სვეტები

განგმირკედლიანი სვეტების განივკვეთები შედგებიან 2 ან მეტი გაგლინული პროფილისაგან, რომლებიც ერთი—მეორეს უკავშირდებიან ფირფიტებისა ან რიკულების სხვა სისტემის საშუალებით (ნახ. 14) და რაც უზრუნველყოფს, როგორც სვეტის შტოების ერთობლივ მუშაობას, ისე ახდენს ზემოქმედებას სვეტისა თუ ცალკეული შტოების მდგრადობაზე.



ნახ. 14. განგმირკედლიანი სვეტების განივკვეთები.

განგმირკედლიანი სვეტის „y—y“ თავისუფალი ღერძის მიმართ მდგრადობაზე შემოწმებისას გამოიყენება  $\lambda_{ლავ}$  — დაყვანილი მოქნილობა, რომელიც რიკულების დეფორმატიულობის გამო აღემატება მოქნილობას ამავე ღერძის მიმართ —  $\lambda_y = H_0/i_y$ ;  $\lambda_{ლავ}$  — დამოკიდებულია სვეტის განივკვეთის  $b$ —სიგანეზე, რომელიც აიღება „x—x“ და „y—y“ ღერძის მიმართ განივკვეთის თანხარმდგრადობის მიხედვით, რაც გამოსახულია ფორმულით

$$\lambda_{ლავ} = \lambda_x \quad (81)$$

სვეტის „x—x“ ღერძის მიმართ მდგრადობის პირობიდან გაანგარიშდება განივკვეთის საჭირო ფართი ფორმულით

$$A_{ს.გ} = N/\varphi_x \cdot R_y \cdot \gamma_c \quad (82)$$

აქ:  $\varphi_x$  — გრძივი ღუნვის კოეფიციენტი საორიენტაციოდ აიღება ღეროს მოქნილობის მიხედვით „x—x“ ღერძის მიმართ:

თუ  $N \leq 1500$  კნ,  $H=5 \div 7$  მ, მაშინ  $\lambda = 60 \div 90$ ;

თუ  $N = 2500 \div 3000$  კნ, მაშინ  $\lambda = 40 \div 60$ .

საჭირო ინერციის რადიუსი

$$i_{x \text{ საჭ}} = H_0 / \lambda \quad (83)$$

$A_{\text{საჭ}}$  და  $i_{x \text{ საჭ}}$  მიხედვით სორტამენტრიდან აიღება შესაბამისი ვაგლინული პროფილი (მაგ. ორტესებრი ან შველური).

შერჩეული განივკვეთის მიხედვით განისაზღვრება მისი მოქნილობა

$$\lambda_x = H_0 / i_x = H_0 / \sqrt{J_x / A} \quad (84)$$

$\lambda_x$  -ს მიხედვით ცხრილიდან აიღება შესაბამისი გრძივი ღუნვის კოეფიციენტი —  $\varphi_x'$  და განივკვეთი მოწმდება ფორმულით

$$\sigma = N / \varphi_x' \cdot A \leq R_y \cdot \gamma_c \quad (85)$$

თუ განივკვეთი არადამაკმაყოფილებლად არის შერჩეული, გაანგარიშება ვრძელდება. II მძიანლობაში, მთლიანკედლიან სვეტის გაანგარიშების ანალოგიურად.

(81)—მოთხოვნის შესაბამისად განისაზღვრება განივკვეთის საჭირო  $b$ —სიგანე.

$\lambda_{\text{დაყვ}}$  — აიღება ცხრ. № 10-ის მიხედვით.

ფირფიტოვანი სვეტებში შტოს მოქნილობა მიიღება  $\lambda_1 = \lambda_2 = (35 \div 40) \leq 45$ . (86  $\div$  91) ფორმულებით განისაზღვრება მოქნილობის დაყვანილი მნიშვნელობა. განისაზღვრება ღეროს მოქნილობა თავისუფალი ღერძის მიმართ

$$\lambda_y = \sqrt{\lambda_{\text{დაყვ}}^2 - \lambda_1^2} \quad (92)$$


აუცილებელია დაცული იქნას პირობა  $\lambda_1 < \lambda_y$ , რათა არ ამოიწუროს შტოს მზიდუნარიანობა, მთლიანად სვეტში მდგრადობის დაკარგვამდე. განისაზღვრება ინერციის რადიუსი

$$i_y = L_y / \lambda_y \quad (93)$$

და შესაბამისად შტოებს შორის მანძილი

$$b = i_y \cdot \alpha_2 \quad (94)$$

აქ  $\alpha_2$ —აიღება ცხრ. № 9-დან.



ნახ. 15. ფირფიტოვანი სვეტის ფრაგმენტი.

აქ.  $\lambda$  — ღეროს უდიდესი მოქნილობა;



$\lambda_1, \lambda_2$  — ცალკეული შტოების მოქნილობები შესაბამისად „1—1“, „2—2“ ღერძების მართობ სიბრტყეებში, მიღებულ ფირფიტებსა ან მიმდებარელები განაპირა ჭანჭიკების ცენტრებს შორის უბნებზე;

$A$  — ღეროს მთლიანი განივკვეთის ფართი;

$A_{d1}, A_{d2}$  — შესაბამისად რიკულების ფართები, რომლებიც განლაგებული არიან „1—1“ და „2—2“ ღერძების მართობ სიბრტყეებში;

$\alpha_1, \alpha_2$  — კოეფიციენტები განისაზღვრებიან ფორმულით

ცხრილი 10.  $\lambda_{\text{დაყ}}$  -ლაყვანილი მოქნილობის საანგარიშო ფორმულები

განმარტვნილი ლეროების განივკვეთის დაყვანილი მოქნილობები $\lambda_{\text{დაყ}}$ ფორფიტოვანი სვეტებისათვის, როცა ( $J_s \cdot L / J \cdot b$ ) < 5		$\lambda_{\text{დაყ}} = \sqrt{\lambda_y^2 + \frac{0,82 \cdot \lambda_1^2 (1+n)}{1+0,82 \lambda_1^2 (1+n)}} \rightarrow$ (86)	$\lambda_{\text{დაყ}} = \sqrt{\lambda_y^2 + \lambda_1^2}$ (88)	$\lambda_{\text{დაყ}} = \sqrt{\lambda_y^2 + \alpha_1 \cdot A / A_{d1}} \quad (90)$
